# პროექტი
# „დემოკრატია იწყება სკოლაში“

ევროპის საბჭო ახორციელებს პროექტს **„დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში”** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშროლობით და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი 2022 წლის მარტიდან 2023 წლის დეკემბრამდე გაგრძელდება.

პროექტის მიზანია საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობით, რაც შესაძლებელი გახდება სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისა და პრაქტიკის გზით.

პროექტი დაეხმარება საქართველოს სამთავრობო ორგანოებს რიგი ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც საჭირო იქნება სკოლასა და თემში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობის შექმნისა და მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებისათვის. პროექტი შეიმუშავებს სკოლების დემოკრატიული მმართველობის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს და მხარს დაუჭერს სკოლის დირექტორებს, რათა ითავონ სტრატეგიული ლიდერობა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, პროექტი ასევე დაეხმარება სკოლის მოსწავლეებს განავითარონ და განახორციელონ სხვადასხვა პროექტი თავიანთ სკოლებსა და თემში.

## მოსალოდნელი შედეგები:

- საგანმანათლებლო ინსტიტუტები და განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტები ავითარებენ სკოლის მოსწავლეების დემოკრატიული კულტურისთვის საჭირო კომპეტენციებს
- სკოლის მოსწავლეები ახორციელებენ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს სკოლებსა და თემში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობით

**პროექტი გაგრძელდება** 2023 წლის დეკემბრამდე.

## საკონტაქტო ინფორმაცია

**ელ.ფოსტა:** Education.georgia@coe.int
**მისამართი:** ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში, ჭავჭავაძის გამზირი 64 ბ, მე-14-ე სართული, თბილისი 0179, საქართველო



## აქტივობები:

- **რეკომენდაციები:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, შემუშავდება რეკომენდაციები სკოლების დემოკრატიული მმართველობების საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოს გაძლიერებისთვის
- **მეთოდოლოგიური გზამკვლევი:** შემუშავდება სკოლების დემოკრატიული მმართველობის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და მოხდება პილოტირება სკოლებში
- **ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება:** სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის შემუშავდება და განხორციელდება პროფესიული განვითარების პროგრამა (ტრენინგი, მენტორინგი და თანატოლებთან გაცვლითი შეხვედრები) დემოკრატიულ სამოქალაქო განათლებასა და სკოლების დემოკრატიული მმართველობაზე
- **სასკოლო პროექტები:** სკოლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშავებენ და განახორციელებენ პროექტებს, რომლებიც მიმართული იქნება სწავლის შედეგებსა და თემში არსებული პრობლემების მოგვარებაზე, მცირე გრანტის სქემის მეშვეობით.
- **გაცვლითი პროგრამები:** დემოკრატიული სკოლის მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ეროვნულ კონფერენციასა და მოლდოვაში სასწავლო ვიზიტით. ორი საზაფხულო სკოლა დემოკრატიის, ადამიანის უფლებებსა და პროექტის მენეჯმენტის შესახებ იქნება ორგანიზებული.
- **საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება:** ეროვნული დემოკრატიული და ინკლუზიური სასკოლო ქსელი დაარსდება სკოლების დემოკრატიულ მმართველობაში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად და გასავრცელებლად

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

* პროექტი „დემოკრატია იწყება სკოლაში-მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში“ ხორციელდება ევროპის საბჭოს მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

# PROJECT
# "DEMOCRACY STARTS IN SCHOOLS"

The Project **"Democracy Starts in Schools – Engaging School Children in Decision Making Processes in Schools and Communities in Georgia"** is implemented by the Council of Europe from March 2022 to December 2023 in cooperation with the Ministry of Education and Science of Georgia and with the financial support of the Swiss Agency for Development and Cooperation (SDC).

The objective of the Project is to strengthen democracy in Georgia through increased participation of young people in the decision-making processes at the local level through democratic citizenship education and practices in schools.

The project will support the national education authorities of Georgia to implement a series of measures that are needed to create more opportunities for participation for school children and motivate them to take part in the decision-making processes in schools and communities. More specifically, the project will help develop methodological guidance for schools on the democratic school governance, will support school directors as key actors in this process and enable them to provide strategic leadership, will support school projects implemented in partnership with civil society organisations and other community actors, and will support school children in developing and implementing projects in their schools and communities.

## ACTIVITIES:

- **POLICY RECOMMENDATIONS** on strengthening the legislative and policy framework for the democratic governance of schools will be developed jointly with the Ministry of Education and Science of Georgia and other stakeholders.
- **METHODOLOGICAL GUIDELINES** on strengthening democratic school governance in schools will be developed and piloted in schools.
- **CAPACITY BUILDING:** a professional development programme (training, mentoring and peer exchange) for school directors and teachers on democratic citizenship education and the democratic school governance will be developed and delivered.
- **SCHOOL PROJECTS:** Schools will partner with civil society organisations and other community stakeholders to develop and implement projects linked to learning outcomes and addressing key problems in the community through a small grants scheme for civil society organisations.
- **SCHOOL CHILDREN PEER EXCHANGES:** best practices in democratic school governance will be shared within a national conference dedicated to school children participation in schools and communities and one study visit to Moldova. Two summer academies for school children on democracy and human rights and project management will be organized.
- **EXCHANGE OF BEST PRACTICES:** A national Democratic and Inclusive School Network for sharing and promoting best practices in democratic school governance will be set up.



## EXPECTED OUTCOMES:

- Educational institutions and educational staff develop school children's competences for democratic culture.
- Schoolgirls and schoolboys exercise their democratic rights and responsibilities by participating in the decision-making processes in their schools and communities.

**THE PROJECT WILL END** December 31, 2023.

## CONTACT INFORMATION

**E-MAIL:** Education.georgia@coe.int
**ADDRESS:** The Council of Europe Office in Georgia, 64b Chavchavadze avenue, Tbilisi 0179, Georgia

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

* The Project "Democracy Starts in Schools – Engaging School Children in Decision Making Processes in Schools and Communities in Georgia" is implemented by the Council of Europe in cooperation with the Ministry of Education and Science of Georgia and with the financial support of the Swiss Agency for Development and Cooperation (SDC).